საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1072

14/07/2021

ქ. თბილისი

შპს „RMG Gold“-ის გაზსადენის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეზე“ გადაცემის შესახებ

2021 წლის 21 ივნისს სამინისტროს განცხადებით მომართეს შპს „RMG Gold“-ისა და შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრის“ დირექტორებმა. შპს „RMG Gold“-მა ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2014 წელს სამინისტროს მიერ შპს „RMG Gold“-ის გაზსადენის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე (ბოლნისის მუნიციპალიტეტი, დაბა კაზრეთი) გაიცა №14 (31.03.2014) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2021 წლის 20 მაისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-717 ბრძანება „შპს „RMG Gold“-ის გაზსადენის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „RMG Gold“-ის გაზსადენის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 20 მაისის №2-717 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეს“;

2. შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრემ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 20 მაისის №2-717 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეს“ და შპს „RMG Gold“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრისა“ და შპს „RMG Gold“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი